

მნიშვნელოვანი ბოტანიკური ტერიტორიების იდენტიფიკაცია
საქართველოში საფრთხეში მყოფი (CR, EN, VU) ბალახოვან მცენარეთა
გავრცელების მიხედვით

შალვა შალოშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

(მიმართულება : ეკოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ბაცაცაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომიწარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერაქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილმასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადოწესების შესაბამისად.

ხელმოწერა :შალვა შალოშვილი

თარიღი:20.06.2016

სარჩევი

აბსტრაქტი	4
ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი	5
აბრევიატურების ჩამონათვალი	6
1. შესავალი	7
1.1. აქტუალობა	7
1.2. კვლევის მიზანი	7
1.3. საკვლევის აკითხვები	7
1.4. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	8
1.4.1. “წითელნუსხები” და დაცული ტერიტორიები, როგორც საფრთხეში მყოფი სახეობათა კონსერვაციის ინსტრუმენტები.	8
1.4.4. ცნობების აქართველოს ფლორის სახეობათა in situ კონსერვაციის შესახებ.	14
2. მეთოდოლოგია	16
3. შედეგები	17
3.1. საქართველოს განახლებულ „წითელნუსხაში“ შესატანად გათვალისწინებული მცენარეთა გავრცელების ანალიზი მცენარეულისა და ფრისვერტიკალურ ზონებში / სარტყელებში	17
3.2. მნიშვნელოვანი ბოტანიკური ტერიტორიების იდენტიფიკაცია სამიზნე სახეობათა გავრცელების მიხედვით	22
3.2.1. მნიშვნელოვანი ბოტანიკური ტერიტორიების იდენტიფიკაცია A კრიტერიუმით.	22
3.2.2. საფრთხის მაღალი კატეგორიებით (GR, EN) შეფასებულ სახეობათა კონსერვაციისათვის საკმარისი არეების განსაზღვრა.	27
4. შედეგების ინტერპრეტაცია / დისკუსია	35
5. დასკვნები და რეკომენდაციები	37
6. ბიბლიოგრაფია	39

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანი იყო მნიშვნელოვანი ბოტანიკური ტერიტორიების იდენტიფიკაცია საქართველოს განახლებულ „წითელ ნუსხაში“ შესატანად გათვალისწინებული 119 სახეობის (7 – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი (CR), 34 – საფრთხეში მყოფი (EN), 78 – მოწყვლადი (VU)) მცენარის ეფექტური კონსერვაციის ხელშეწყობისათვის.

დადგინდა, რომ 74 სახეობა დასავლეთ-კავკასიური ანუ კოლხური ტიპის მცენარეულ საფარშია, 51 - აღმოსავლეთ კავკასიურში, ხოლო 6 - სამხრეთ კავკასიურში ანუ წინააზიურში.

საქართველოს ტერიტორიაზე იდენტიფიცირებული იქნა 10კმ x 10 კმ სიდიდის 47 წინასწარ შერჩეული მნიშვნელოვანი ბოტანიკური ტერიტორია, რომელიც საფრთხის კატეგორიებით (CR, EN, VU) შეფასებული 119 სახეობის პოპულაციებს მოიცავს (მნიშვნელოვანი ბოტანიკური ტერიტორიების იდენტიფიკაციის A კრიტერიუმი).

მცენარეულობის ვერტიკალური ზონების ფარგლებში ამ ზონებისათვის სპეციფიკური სახეობების გავრცელების მიხედვით ასევე იდენტიფიცირებული იქნა წინასწარ შერჩეული მნიშვნელოვანი ბოტანიკური ტერიტორიები (მნიშვნელოვანი ბოტანიკური ტერიტორიების იდენტიფიკაციის B კრიტერიუმი).

აუცილებელია სავლეთ კვლევებით განისაზღვროს, ველურ პოპულაციათა რა ნაწილის დაცვის უზრუნველყოფა აუცილებელი სახეობის ხანგრძლივი გადარჩენისათვის, საკმარისია თუ არა იდენტიფიცირებული მნიშვნელოვანი ბოტანიკური ტერიტორიები ამ მიზნის მისაღწევად და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს დამატებითი / ალტერნატიული IPA-ს იდენტიფიკაცია.